



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო**  
**უნივერსიტეტი**

Legal Entity Public Law

SAMTSKHE -JAVAKHETI STATE UNIVERSITY  
ტარომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL



ოქთი № 12

„11“ ეკუთხება 2019 წ.

დადგენილება № 49

წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 07 ივნისის N15 დადგენილებაში  
ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/6 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 07 ივნისის N15 დადგენილებაში და აღნიშნული დადგენილების

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნას სტუდენტებისთვის, პროფესორ-მასწავლებლებისა და დამხმარე პერსონალისათვის ინგლისური ენის მოსამზადებელი კურსი. აღნიშნულ კურსზე მოწვეული სპეციალისტების შრომის ანაზღაურება განისაზღვროს საათობრივი ანაზღაურების წესით უნივერსიტეტში არსებული რეგულაციის შესაბამისად.“

ბ) პიველი პუნქტის შემდეგ დაემატოს 1<sup>1</sup> პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აღნიშნული დადგენილებს პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კურსზე სწავლის საფასური დაიფროს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.“

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს  
სპიკერი, პროფესორი

ო. ჩოჩია

ლავრენტი ჩიბურდანიძე